

გამოხმაურება

ნუგზარ პაპუაშვილი

დიდი სქიზმა და საქართველო

გიორგი მაჭარაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომზე
„დიდი სქიზმა და საქართველო“
(ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) 2015

დიდი სქიზმა არის მსოფლიო საეკლესიო ისტორიის ყველაზე მძიმე და ტრაგიკული მოვლენა. ამასთანავე, ის არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ მრავალწახნაგოვანი პროცესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და ეკლესიებს შორის ექვარისტიული კავშირის შეჩერებით დასრულდა. ლაპარაკია IX-XIII სს-ის სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ ბატალიებზე რომსა და დანარჩენ ოთხ ძველ საპატრიარქო კათედრას შორის.

საკითხს, რა პოზიციაზე იდგნენ ამ დროს ჩვენი თანამემამულეები, ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა თუ შემთხვევითი დაკვირვება მიეძღვნა. პრობლემის აქტუალურობის მიუხედავად, თემა „დიდი სქიზმა და საქართველო“ მონოგრაფიულად დღემდე არავის დაუმუშავებია. სასიამოვნოა, რომ ამ ხარვეზის ამოვსება თავს იდო ახალგაზრდა მკვლევარმა და სადისერტაციო-საატესტაციო საბჭოს საპაექროდ შთამბეჭდავი მოცულობის ნაშრომი წარუდგინა. ამ ნაშრომის ავტორეფერატი და ამავე ავტორის რამდენიმე პუბლიკაცია, რომელთაც ვიცნობთ, გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მკვლევარს სერიოზული სამუშაო ჩაუტარებია, შეუკრებია ყველა პირველწყარო და ნარატივი, რაც ისტორიის ქარტეზილებისაგან გადარჩა; გაუთვალისწინებია შესაბამისი ლიტერატურის დიდი სპექტრი, რაც სათანადო ბიბლიოგრაფიის შედგენას გულისხმობს. ეს ერთობ დასაფასებელი საქმეა და მეცნიერული სიახლე. ავტორეფერატიდან მეც-

ნიერულ სიახლედ გამოიყურება ცნობები იმ წერილობითი ძეგლების შესახებ, რომლებიც, დისერტანტის თქმით, „ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში“ პირველად შემოდის. ასეთია ლეონ ოსტიელის ქრონიკა, რაზეც, „სადისერტაციო მაცნეს“ თანახმად, ქართველ მკვლევრებს ყურადღება დღემდე არ გაუმახვილებიათ, და ერთი „ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება“, რომელიც ავტორს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიუკვლევია. განსახილველ „მაცნეში“, სამწუხაროდ, არ ჩანს, კონკრეტულად რომელ თხზულებაზეა ლაპარაკი და რომელი ფონდის ერთეულზე, თუმცა საგრძნობია დიდი ენთუზიაზმი, რასაც მკვლევარი შესაბამისი მასალის მოძიებისა და აღნუსხვის მიმართ ამჟღავნებს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარი მიზანი, სათაურის შესაბამისად, არის საქართველოს პოზიციის გარკვევა დიდი სქიზმის ისტორიაში. დისერტანტი დარწმუნებულია (ასე ჩანს), რომ ამ ქვეყნის მთელი მოსახლეობა მაშინ, ყოველთვის და ყველგან, ერთსა და იმავე პოზიციაზე იდგა; ეს პოზიცია არსობრივად ბერძნების პოზიციას ემთხვეოდა და, მაშასადამე, ანტირომაული იყო. ამით ის უპირისპირდება ქართველოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ თეორიას, რომელიც ასახულია აკად. კორნელი კეკელიძის ცნობილ სიტყვებში: „საქართველოში თავდაპირველად არ იზიარებდნენ საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ. (...) ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცილებით გვიან, (...) თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია აქ, როგორც საბერძნეთში.“ ნათქვამის საილუსტრაციოდ კ. კეკელიძე იმორწმებს საქართველოს ეკლესიის თვალმეუდგამ ავტორიტეტს – გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც რომაელთა და ბერძენთა ურთიერთდაპირისპირების დროს რომაელთა სარწმუნოების უმწიკვლოებას გაუსვა ხაზიო. და მართლაც: თუ გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ იმ ანტაგონიზმს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიის პოლიტიკურ სივრცეში ქართველებსა და ბერძნებს შორის, აპრიორულადაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დიდი სქიზმის მძვინვარების დროს (IX-XI) ქართველებს (ყოველ შემთხვევაში, ათონის მოწესეებს) ბერძნების გვერდით დგომა გაუჭირდებოდათ. ჩვენს განკარგულებაშია მოცემული პერიოდის როგორც ჰაგიოგრაფია, ისე საეკლესიო დოკუმენტაცია, რაც საკმარის მასალას გვთავაზობს იმის გასარკვევად, თუ ვის მიმართ ამჟღავნებდნენ სიმპათიას იმ დროს ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე ქართველები. დისერტანტმა იცის, რომ ამ მასალის მკვლევრებს ხსენებული ქართველები რომაელთა სარწმუნოების მიმართ კეთილგანწყობილად წარმოესახებათ, რის გამოც ის, ჩანს, დისკომფორტს

განიცდის და მასალის ისეთი ინტერპრეტაციისათვის მეცადინეობს, რომ მყარად შემუშავებული შეხედულების გადაფასება და შეცვლა მოხერხდეს. ესაა მიზეზი, რომ ავტორეფერატის ამ მონაკვეთში თვალშისაცემია ტექსტზე ძალადობა და ტენდენციურობა.

დიდი სქიზმის პროცესში ქართველი წმინდანების პოზიციის საკითხს ჩვენ რამდენჯერმე შევეხეთ (შედარებით ვრცლად: საქართველოსა და რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობები: მითოსი და რეალობა – აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა, თბ., 2009, გვ. 198-248. ამ სტატიაში არის ქვეთავი „დიდი სქიზმა და საქართველო“: გვ. 209-216). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველთაგან პირველი, რომელმაც ამ უბანზე საკუთარი თვალთახედვა წარმოაჩინა, არის ილარიონ ქართველი. სადისერტაციო მაცნეში რატომღაც უგულებელყოფილია (ასე გამოიყურება) მისი ცხოვრების ის მონაკვეთი, რომელიც ეხება რომში პილიგრიმობას. ეს მოხდა მაშინ, როდესაც საბერძნეთი პრორომაული და ანტირომაული, ეგნატიელი და ფოტიოსიანელი საეკლესიო პარტიების საომარ ასპარეზად იყო გადაქცეული. წმ. ილარიონი კონსტანტინოპოლში სწორედ პრორომაელი ეგნატეს მწყემსმთავრობის დროს შედის და იქ მანამდე რჩება, სანამ კათედრას ეს მწყემსმთავარი, წმ. ეგნატე, განაგებს. მისი დამხობის შემდეგ, 870-872 წლებში, ის რომში იმყოფება და უკან მხოლოდ ამ მწყემსმთავრის რეაბილიტაციის შემდეგ ბრუნდება. განა ეს ფაქტი ამ სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ ორომტრიალში მის პრორომაულ ორიენტაციასა და თვალთახედვაზე არ მეტყველებს? განა ასეთივე ორიენტაცია და თვალთახედვა არ უნდა ჰქონოდა ამ წმინდანის ცხოვრების აღმწერს, დიდი ალბათობით, – წმ. ექვთიმე მთაწმინდელს? შეუძლებელია, ანგარიში არ გავუწიოთ საეკლესიო ისტორიისა და სასულიერო მწერლობის უბადლო მცოდნის, წმ. ილარიონის ბიოგრაფიის მკვლევრის, კორნელი კეკელიძის, შენიშვნას: „ის ადგილი ცხოვრებისა, სადაც ლაპარაკია ილარიონის რომში ყოფნის შესახებ, გამსჭვალულია სიმპათიებით რომაელთა ქრისტიანობისადმი. ავტორი კრძალულებით მოიხსენებს რომაელთა ღვთისნიერებას და მათ სათნო ცხოვრებას. ჩვენ ვიცით, რომ მეცხრე საუკუნეში ატყდა სასტიკი ცილობა-კამათი და ბრძოლა რომისა და კონსტანტინოპოლის სამღვდელეობათა შორის (...). მეცხრე საუკუნის ბერძნისათვის შეუძლებელია ასეთი ატესტაცია რომაელთა ქრისტიანობისა“ (ეტიუდები..., IV, გვ. 139). დავძენთ, რომ ასეთი ატესტაცია სწორედ ბიზანტიაში მცხოვრები ქართველისაგან, ბერძენთაგან შევიწროებულისაგან, იყო მოსალოდნელი. არ დაგვავიწყდეს, რომ ციტირებული სიტყვები ეკუთვნის მეცნიერს, რომელიც სულაც არ გამოირჩეოდა რომაული კათოლიკობისადმი სიმპათიით. ის იზიარებდა ბრალდებას

კათოლიკე მისიონერების პოლიტიკური აგენტობის შესახებ (მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 77), რის გამოც მას კათოლიკეებისადმი მიკერძოებას ვერ დაეწამებთ.

რომელთა სარწმუნოებისადმი სიმპათია საგრძნობია ასევე გიორგი მთაწმინდლის თხზულებაში „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“. იქ ვხედავთ, რომ ბერძნულმა ნაციონალიზმმა და ამპარტავენებამ ეკლესიაში და, კერძოდ, ათონის წმ. მთაზეც შეაღწია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამანაც უზიძგა ივირონის წინამძღვარს, წმ. იოანეს, საბერძნეთის დატოვებასა და ესპანეთში გადასახლებაზე ეფიქრა. მართალია, მან განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა (იმპერატორებმა კონსტანტინემ და ბასილიმ დარჩენაზე დაიყოლიეს), მაგრამ ფაქტია, რომ მას, სწორედ ბერძნულ-რომაული საეკლესიო ბატალიების ჟამს, რომის ეკლესიის წიაღში დამკვიდრების სურვილი ჰქონდა. შთამბეჭდავია ათონზე რომელი ბერების გამოჩენის ამბავი. მათ ქართველებმა უმასპინძლეს და იმდენად შეიტკბეს ისინი, რომ უთხრეს: აქ ჩვენც უცხოელები ვართ და თქვენც; დამკვიდრდით ჩვენს გვერდით და ძმობასა და სიყვარულში გავატაროთ წუთისოფელიო. მართლაც, რომელებმა პირველი მონასტერი ათონზე მხოლოდ ქართველების მორალური და ფინანსური დახმარებით ააგეს. იქ ღვთისმსახურება ლათინური ტიპიკონის მიხედვით სრულდებოდა და ცხოვრება წმ. ბენედიქტეს კანონისა და განგებისამებრ მოეწყო. წეს-ჩვეულებაში სხვაობას ქართველთა და ლათინთა თანალოცვა არ დაუბრკოლებია. ამის საუკეთესო ნიმუშია გაბრიელ ქართველისა და ლეონ რომაელის თანამოსაგრეობა. იმის მიუხედავად, რომ მშობლიური ენის გარდა არც პირველმა იცოდა სხვა ენა და არც მეორემ, მათ თურმე შეეძლოთ, მთელი დღე ელაპარაკათ ერთმანეთში საღვთო და სულიერ საგნებზე. დისერტანტი აღნიშნავს, ეს ბენედიქტელები „მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ“-ო. კი, ბატონო! მაგრამ იმდროინდელი ბერძნები ლათინურ-რომაულ საეკლესიო წესებს განა მართლმადიდებლობიდან გადაცდომად არ ნათლავდნენ? მაშ, რის საფუძველზე შეუქმნეს ლათინ ბენედიქტელებს ბერძნებმა ათონის მთაზე პრობლემა? განა იგივე ბენედიქტელები, დისერტანტისავე თქმით (გვ. 14), ფილიოკვეს გამო არ გამოაძევეს ბერძნებმა 808 წელს ელეონის მთიდან. საიდან ვიცით, რომ ელეონელ ბენედიქტელებს და ათონელ ბენედიქტელებს სხვადასხვა მრწამსი და წეს-ჩვეულებები ჰქონდათ? თუ ხერხდება იმის დამტკიცება, რომ ათონელი ბენედიქტელები, ელეონელი თანამოსახლეებისაგან განსხვავებით, მრწამსს ფილიოკვეს გარეშე წარმოთქვამდნენ, ეს სადისერტაციო მაცნეშიც უნდა ასახულიყო. ამასთანავე: ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ X-XI სს-ის ათონელი ქართველები, კერძოდ,

იოანე წინამძღვარი და გაბრიელ სალოსი ფილიოკვეს ანტიმართლმადიდებლობად მიიჩნევდნენ? თუკი ისინი ამ ფორმულაში ერესსა და მწვალებლობას ხედავდნენ, რატომ თარგმნა მათი ცხოვრების აღმწერელმა ათანასე ალექსანდრიელის მრწამსი ამავე ფორმულითურთ კომენტარისა და კრიტიკის გარეშე? ამ თარგმანის თანმხლები ანდერძი: „ესე მართლისა სარწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნისაგან გარდმოვწერე“ ცხადყოფს, რომ ათონის მოძღვარს, გიორგი მთაწმინდელს, ათანასე დიდის მრწამსი ჭეშმარიტი სარწმუნოების აღსარებად წარმოესახებოდა.

სიმპათიები რომის ეკლესიის მიმართ გიორგი მთაწმინდელმა ყველაზე მკაფიოდ იმპერატორ კონსტანტინე დუკიწთან ოფიციალური და ხალხმრავალი აუდიენციის დროს გამოავლინა (1065 წლის ივნისის შუა რიცხვები). ის ბიზანტიის ხელისუფლების წინაშე საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ელჩის სტატუსით წარდგა; იმპერატორს ბაგრატ IV-ის რწმუნების სიგელები გადასცა, რაც ნიშნავს, რომ სიტყვა, რომელიც მან იქ წარმოთქვა, არა მარტო პირად, არამედ თავისი ქვეყნის ოფიციალურ პოზიციასაც ახმოვანებდა. იმპერატორმა მას სთხოვა, განემარტა მისთვის, დარბაზის ერისა და დიპლომატიური კორპუსისათვისაც ქართველების სარწმუნოება და ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი ეკლესიურ სფეროში ბერძნულ-რომაული დაპირისპირების თაობაზე. ამ სცენასა და წმ. მამის პასუხზე სიტყვის გაგრძელება, ვფიქრობთ, ზედმეტია. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ „მაცნეს“ ავტორი არ იცნობს ჩვენს წერილს „გიორგი მთაწმინდელი – ეკლესიოლოგი, კულტურტრეგერი და რეფორმატორი“ („სოლიდარობა“, 2010, №4, გვ. 85-96), რადგან არ იგრძნობა გამოძახილი იმ აქცენტებზე, რაც დასახელებულ წერილში არის წარმოჩენილი.¹ ამიტომ ამ აქცენტებს აქაც წარმოვაჩინო.

იმის მიუხედავად, რომ ამ დროს სქიზმა რომსა და კონსტანტინოპოლს შორის უკვე კარგა ხნის გაფორმებული იყო (1054 წლის 16-20 ივლისი, როდესაც ამ ქალაქების ეპისკოპოსთა ურთიერთშეჩვენებანი წარმოითქვა), ღირსმა მამამ ყველას გასაგონად განაცხადა: „ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის

1 მსგავსი შთაბეჭდილება გვრჩება დავით თინიკაშვილის სტატიის მიმართაც: „გიორგი მთაწმინდელი და რომის ეკლესია“ („კადმოსი“, 5.2013, გვ. 22-42). აქ ის არ მოიხსენიებს არც ამ და არც ზემოთ მითითებულ ჩვენს ნაშრომსაც, რომელიც მისივე რედაქტორობით გამოცემულ სტატიათა კრებულში („ადმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა“) არის წარმოდგენილი და სადაც საკმაო მასშტაბით მიმოვიხილავთ თემას „გიორგი მთაწმინდელი და რომის ეკლესია“. ეს მოუხსენიებლობა გაკვირვებას იწვევს, რამდენადაც ჩვენი კოლეგა ყველა არსებით საკითხში იმავე ხედვასა და პოზიციას ამჟღავნებს, რაც ჩვენ მასზე ადრე წარმოდგინეთ.

მიდრკეს,“ ხოლო რომაელებს შორის „არცა ოდეს წვალებად შემოსრულ არს.“ ამასთანავე აღნიშნა, არავითარი წვალება არ შემოსულა ჩვენს, ქართველებს, შორისაცო. ეს პასუხი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ, ათონელი წმინდანის აზრით, სარწმუნოების სიმრთელის საკითხში ქართველები რომაელებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ბერძნებთან; სომხებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტიყო. რა რეაქცია მოჰყვა ამ ნათქვამს? ჰაგიოგრაფი გიორგი მცირე გვაუწყებს: მეფე კმაყოფილი დარჩა (აშკარაა, რომ მას რომთან ურთიერთობის აღდგენა ეწადა), რომაელი მთავრები აღფრთოვანდნენ (იქვე აღნიშნულია, რომ ბერძნებთან კამათი მათ სხვა დროსაც ჰქონიათ, მაგრამ საკითხში გაუცნობიერებლობის გამო თავიანთი ეკლესიის პოზიციათა დაცვას ვერ ახერხებდნენ); მათ წმ. მამის პეტრეს ქალაქში ჩაყვანისა და პაპის წინაშე წარდგინების სურვილი გამოთქვეს („წარგიყვანოთო წინაშე წმიდისა პაპადსა“). ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო ბერძნების რეაქციაა. დისერტანტი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მთაწმინდელი მამის პასუხი ბერძნებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა, მაგრამ ეს ტექსტში არსაიდან ჩანს. ჰაგიოგრაფი ამ საკითხს დუმილით უვლის გვერდს, მაგრამ თუ თხრობას დავაკვირდებით, უფრო იმ აზრისკენ გადავიხრებით, რომ ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენლები ქართველი დიპლომატი ბერის სიტყვამ გაანაწყენა. წმ. მამის პრორომაული პოზიცია მათ ალბათ ისედაც მოეხსენებოდათ. ამიტომ არ გვიკვირს, რომ ამ ოფიციალურ ვიზიტში არც ერთი ბერძენი სასულიერო პირი არ მონაწილეობს (არ ჩანს); ისინი თითქოს გაბუტული არიან ქართველ სასულიერო პირებთან. „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ წმ. მამას, ავადმყოფობის მიუხედავად, კიდევ ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა მეფესთან, რომლის გვერდით იგივე რომაელები იდგნენ; მის გვერდით კი ერთ ბერძენ კოლეგასაც ვერ ვხედავთ. მოწმე ვართ არაორდინალური ფაქტისა: ათონელი ქართველი, დიდი ასკეტი და ღვთისმეტყველი, კონსტანტინოპოლში მხოლოდ რომისადმი ლოიალურად განწყობილი საერო უწყების სტუმარია, რომისადმი არალოიალურად განწყობილი ეკლესია თითქოს გაურბის მას. განა ეს ისევ და ისევ გიორგი მთაწმინდლის პრორომაულ განწყობილებას არ მიგვანიშნებს?

დისერტანტი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ გიორგი მთაწმინდელმა „ბიზანტიის საიმპერატორო კარზე წარდგომისას დაიცვა „მრწამსის უცვალებლობის წესი“ (გვ. 8). დაისმის კითხვა: ეს საკითხი იმჯერად დღის წესრიგში არ დამდგარა; ამის შესახებ იმპერატორს სიტყვა არ ჩამოუგდია და რა რჯიდა მას საამისოდ? ანდა რომელი ოპონენტისაგან იცავდა და საიდან ჩანს ეს „დაცვა“? როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს წმ. მამის სიტყვები: საფუარიანი

და უფუარი პურით წირვის წესებს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს, „ოდენ სარწმუნოებად მართალი იყოს“ და გვეუბნება, „სარწმუნოებად“ მრწამსს (რწმენის სიმბოლოს) ნიშნავსო. რატომ მაინცდამაინც მრწამსს? ციტირებული ფრაზა ახალ ქართულზე ასე ითარგმნება: პრობლემა არ არსებობს, „როდესაც სარწმუნოება შეუბღალავია“ (ანდა: „თუკი სარწმუნოება სრულყოფილია“). ასეთი სარწმუნოება, წმ. მამის თქმით, ქართველებს და რომაელებს უპყრიათ, ბერძნები ამით ვერ დაიტრაბახებენ. მაგრამ ისეც რომ იყოს, როგორც დისეტრანტს ჰგონია, რა გამოდის? – პრობლემა არ არსებობს, „როდესაც მრწამსი შეუბღალავია“ – რა არის აქ ანტირომაული და ანტიკათოლიკური? ფიქრობდა კი რომაელი კათოლიკე მაშინ და ფიქრობს დღეს, რომ ფილიოკვემ მრწამსი შებღალა? ამას მხოლოდ მათი ოპონენტები ფიქრობენ. თუკი გიორგი მთაწმინდელმა თავისი თავი ასეთად წარმოაჩინა, რომაელ კათოლიკეებს რა ახარებდათ?

ჩანს, რომ სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია წმინდა მიწის ქართველი ბერებისა და ჯვაროსნების ურთიერთობაზეც. „მაცნე“ გვარწმუნებს: ეს ბერები „იძულებული იყვნენ გარკვეული დროით მიეღოთ უნია (....) ქართველები მაინც ახერხებდნენ თავიანთი სარწმუნოებრივი ტრადიციების ჩენარჩუნებას“ (გვ. 12). გაურკვეველია: საიდან ვიცით, რომ ქართველმა ბერებმა „უნია“ იძულებით მიიღეს? რას ნიშნავს უნიის „გაურკვეველი დროით მიღება“? რელიგიურ უნიებს განა გარკვეული დროით იღებენ? რა იგულისხმება „სარწმუნოებრივი ტრადიციების შენარჩუნებაში“? ნებისმიერი უნია განა თავისთავად არ გულისხმობს „სარწმუნოებრივი ტრადიციების ჩენარჩუნებას“? მაგალითად, წირვა-ლოცვის ტიპიკონისას? თუკი ჯვაროსნები მართლმადიდებლებს „სარწმუნოებრივი ტრადიციების“ უარყოფას ავალდებულებდნენ, უნია რაში გამოიხატებოდა და რაღა აზრი ჰქონდა მას? პალესტინის ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავთ იმ ალაპთა ტექსტები, რომლებიც იქაურ ბერებს ჯვაროსანი ბერებისა და ერისკაცებისათვის განუწესებიათ: „ჯვარო პატიოსანო, შეიწყალე ძმად ჩვენი ჯოფრე ფაუსათ“, „ადიდე და შეიწყალე ცირ პერ კუმანდური ტაძრელთა“, „უფალი ღმერთო, დაიცევ და შეიწყალე ძმად ჩვენი სილგილამ დელოლეველ“, „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ძმად ჩვენი პერ მარტინე“ და სხვა. გარკვეულია, რომ აქ მოხსენიებული ადამიანები ტამპლიერთა ორდენის წევრები არიან (ლ. მენაბდე, ...კერები II, გვ. 91-96). დისერტანტის ლოგიკით გამოდის: მართალია, ქართველი ბერები კათოლიკეებს, მათ შორის ტამპლიერებს, ქრისტეს ეკლესიიდან გასულებად მიიჩნევდნენ, მაგრამ მათ სულიერ ძმებს მაინც უწოდებდნენ; ამას ისინი დიპლომატიური მიზნით იქმოდნენ და თანაც დრო-

ებით. ეს ისეთი თეორიაა, რომელსაც ვერც დავამტკიცებთ და ვერც უარყოფთ, მაგრამ თუ ვირწმუნებთ, მივალთ დასკვნამდე, რომელიც მეალაპე ქართველი ბერების სარწმუნოებრივ და ზნეობრივ პოზიციას ერთობ უარყოფითად დაახასიათებს.

გვხვდება ადგილები, სადაც დისერტანტი მტკიცებითი ფორმით გვაწვდის ფაქტს, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება. ის ამბობს: „დიდი სქიზმის შემდეგ სრულიად საქართველოს ეკლესიის გაუნიათება საისტორიო წყაროებიდან არ ჩანს“ (გვ. 12). კი მაგრამ, ვინ ამბობს, რომ ჩანს? მე არ მეგულება ისტორიკოსი, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, საქართველო ან უნიის, ან რაიმე სხვა ფორმით როდესაც გაკათოლიკდაო. როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ გიორგი მთაწმინდელმა თავისი და თავისი ქვეყნის სამეფო ხელისუფლების პრორომული პოზიცია გააცხადა, სულაც არ ვაპირებთ ვამტკიცოთ, რომ ეს სრულიად საქართველოს უალტერნატივო პოზიცია იყო. შესაძლებელია (და არაფერია გასაკვირი), რომ რომის ეკლესიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველოს საპატრიარქოსა და ათონელ ქართველებს ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები ჰქონოდათ, ისე როგორც განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ბიზანტიის საერო ხელისუფალსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს. მეტიც, შესაძლებელია, თვით ივირონშიც არ ყოფილიყო ერთსულოვნება, მაგრამ ფაქტია, რომ წერილობითი მასალა ჯერჯერობით მხოლოდ ამ მონასტრის წინამძღვრისა და მისი გუნდის პოზიციების გაცნობის საშუალებას გვაძლევს. შესაძლებელია, ხვალ განსხვავებული პოზიციის შემცველი მასალა გამოვლინდეს. ყველა შემთხვევასა და გარემოში ჩვენ ვალდებული ვართ, კვლევის პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვა შევძლოთ.

დაბოლოს, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ აქ წარმოდგენილი კრიტიკა ნაშრომის მიმართ საერთო შთაბეჭდილებას არ ცვლის. ვთვლით, რომ იგი მეცნიერებაში ახალი სიტყვაა და მისი პუბლიკაცია მაინც შეუწყობს ხელს მოცემული საკითხების გაღრმავებულ კვლევას.

REFLECTIONS

Nugzar Papuashvili

**Reflections on Giorgi Macharashvili's Dissertation on
The Great Schism and Georgia**
(Historical Research)

Several hagiographical works of the 9th-11th century provide sufficient grounds to judge the position of later canonized Georgian church fathers in Byzantium at the time of the Great Schism between Rome and Constantinople. Macharashvili attempts to refute the prevailing scholarly opinion that they favoured Rome. However, this attempt proves feeble in the absence of supporting evidence.